# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 23 მაისი, 2024 წელი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/37

**საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული „საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევის წესი“ (დანართი).

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს**
**თავმჯდომარე** **თ. კეჟერაძე**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024
წლის 23 მაისის №04-01/37 დადგენილების
დანართი

# საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევის წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი ადგენს საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-„უნივერსიტეტი"/„ბხსუ") სტუდენტთა შერჩევის პროცედურულ საკითხებს.

2. საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობის მიზანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, შესაბამისი უნარებისა და გამოცდილების შეძენა, უკეთესი კარიერული მომავლის დაგეგმვა, რეალიზება, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების უნივერსიტეტისათვის მოხმარება.

3. წინამდებარე წესი სავალდებულოა საერთაშორისო გაცვლითი და მობილობის პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მონაწილე ყველა პირისათვის.

## მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება

1. ბხსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოთავაზების საფუძველზე, ადგენს გაცვლითი პროგრამების ქვოტებს.

2. სტუდენტთა მიერ საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვება ხდება კონკურსის გზით.

3. კონკურსის გამოცხადების საფუძველია შესაბამისი ვაკანტური ადგილის არსებობა.

4. საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიზნით, უნივერსიტეტის სტუდენტთა შერჩევისათვის კონკურსი ცხადდება ბხსუ-ს რექტორის ბრძანებით.

5. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის სამართლებრივ აქტში აღინიშნება:

ა) უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, სადაც ხორციელდება კონკრეტული გაცვლითი ან მობილობის პროგრამა/პროგრამები;

ბ) სწავლების რომელი საფეხურის, რომელი სემესტრის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი;

გ) გაცვლითი და მობილობის პროგრამის ვადები;

დ) დაინტერესებული პირების მონაწილეობისათვის განსაზღვრული წინაპირობები;

ე) კონკურსის ეტაპები;

ვ) დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები;

ზ) სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

**მუხლი 3. საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობის პირობები და წარსადგენი დოკუმენტაცია**

1. საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებზე მისაღებ კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტი (სტუდენტი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1.1. უნდა იყოს ბხსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე:

ა) III, IV, V ან VI სემესტრის სტუდენტი - ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში;

ბ) პირველი სასწავლო წლის სტუდენტი - მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში;

1.2 სტუდენტის GPA არ უნდა იყოს 2.5-ზე ნაკლები;

1.3. საკონკურსო განაცხადის წარდგენის პერიოდისათვის უნდა სწავლობდეს მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ პროგრამაზე ან/და გადიოდეს ამ დარგის შესაბამის სასწავლო კურსებს (MINOR -პროგრამის ჩათვლით);

1.4. არ უნდა ჰქონდეს მოპოვებული ერასმუს +-ის გრანტი ანალოგიური საფეხურის (ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის ) სტუდენტებისათვის.

2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტმა (სტუდენტმა) უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის მოწმობის / პასპორტის ასლი;

ბ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ქართულ ენაზე);

გ) CV (ინგლისურ ენაზე);

დ) სამოტივაციო წერილი (250-400 სიტყვა) – (ინგლისურ ენაზე);

ე) ნიშნების ფურცელი, GPA-ის მითითებით (ინგლისურ ენაზე);

ვ) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო წერილი, შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლის ხელმოწერით (ქართულ ენაზე);

თ) ეკონომიკური, სოციალური პრობლემის ან შშმ პირის სტატუსის (არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ცნობა/დოკუმენტი (ინგლისურ ენაზე თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

ი) პროგრამის ხელმძღვანელთან და შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით შევსებული და სტუდენტისა და დეკანის ხელმოწერით დადასტურებული სასწავლო ხელშეკრულება (ინგლისურ ენაზე);

კ) ბაკალავრიატის საფეხურის გავლის დამადასტურებელი დიპლომის დანართი (ინგლისურ ენაზე) - მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების შემთხვევაში;

ლ) სამეცნიერო კონფერენციებში, შემოქმედებით პროექტებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);

მ) კონკრეტული კონკურსის გამოცხადების შესახებ საუნივერსიტეტო აქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

3. კანდიდატთა შერჩევის წესი და პროცედურები შეიძლება შეიცვალოს, კონკრეტული პარტნიორი უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის მიზნებისათვის ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება უნდა მოხდეს:

ა) შესაბამისი რეგისტრაციის დასრულებამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე აღებული შემდეგი სერტიფიკატების საფუძველზე: TOEFL (90 iBT), IELTS (6.5 მინიმალური საშუალო ქულა) ან CAMBRIDGE (FCE)-ის სერტიფიკატი;

ბ) უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული უცხოური ენის ინსტიტუციური ტესტირების შედეგის საფუძველზე (არანაკლებ 71 ქულისა);

გ) ბხსუ-ში სწავლის პერიოდში ინგლისური ენის B2 დონის (შეფასება არანაკლებ 71 ქულა) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

5. სტუდენტის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ხდება ელექტრონულად შემდეგ მისამართზე info@batu.edu.ge ან მატერიალური სახით - ბხსუ-ს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მეშვეობით.

**მუხლი 4. კონკურსანტთა (სტუდენტების) უცხო ენის დონის შეფასება**

1. იმ კონკურსანტთათვის, რომლებმაც განაცხადში არ წარმოადგინეს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი, ტარდება შიდასაუნივერსიტეტო ტესტირება უცხო ენაში.

2. უცხო ენაში ტესტირებას ორგანიზებას უკეთებს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი.

3. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი ქმნის უცხო ენაში ტესტირების საგამოცდო და სააპელაციო კომისიებს, რომელსაც განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგენით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

4. გასავლელი ტესტი 100 ქულიანია და მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 71 ქულა (70 და ნაკლები ქულის მიღების შემთხვევაში ტესტირება დადებითი შედეგით გავლილად არ ითვლება).

5. ინგლისური ენის ტესტირებით მოწმდება შემდეგი სამი უნარი:

ა) წაკითხულის გააზრება;

ბ) ენის (გრამატიკული და ლექსიკური სტრუქტურების) გამოყენება;

გ) წერა.

6. ინგლისური ენის ტესტირების შედეგები გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ტესტირებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და ასევე, ეგზავნება სტუდენტს ელექტრონულ ფოსტაზე, მიღებული ქულის მითითებით.

7. სტუდენტს უფლება აქვს ტესტირების შედეგის მიღებისთანავე გაასაჩივროს მიღებული შეფასება და იმავე დღესვე ბხსუ-ს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის მეშვეობით წარმოადგინოს დასაბუთებული საჩივარი.

8. საგამოცდო სააპელაციო კომისია 1 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და შედეგებს აცნობებს შესაბამის კონკურსანტს.

**მუხლი 5. კონკურსის ჩატარება**

1. საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა შერჩევის მიზნით (რეგისტრაციის დასრულებისა და ამ წესით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდგომ), რექტორის ბრძანებით, იქმნება საკონკურსო კომისია.

2. კომისიის შემადგენლობაში, როგორც წესი, უნდა შედიოდნენ:

ა) რექტორის მოადგილე;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

გ) შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი;

დ) შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი;

ე) საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი.

3. კომისია ვალდებულია წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შესაბამისი გასაუბრების საფუძველზე განახორციელოს სტუდენტთა შეფასება.

4. განიხილება მხოლოდ სრულყოფილად წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. არასრულად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემთხვევაში კონკურსანტი მოიხსნება კონკურსიდან.

5. საკონკურსო კომისიის წევრი შერჩევის პროცესში მონაწილე სტუდენტს აფასებს ინდივიდუალურად წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე.

6. წინამდებარე წესით გათვალისწინებული ქულები სტუდენტს ენიჭება საშუალო არითმეტიკული წესით მიღებული ქულის სახით.

7. კონკურსანტების შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

7.1. სტუდენტის GPA (მრავლდება 10-ზე), რის საფუძველზეც სტუდენტს შესაძლებელია მიენიჭოს 25-40 ქულა;

7.2.1 უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (30 ქულა);

7.2.2 უცხო ენის ინსტიტუციური ტესტირების შედეგი (მაქს. 30 ქულა);

7.2.3 ბხსუ-ში სწავლის პერიოდში ინგლისური ენის B2 დონის (შეფასება არანაკლებ 71 ქულა) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაქს. 30 ქულა);

7.3 სამოტივაციო წერილი (მაქს. 5 ქულა);

7.4 სამეცნიერო კონფერენციებში, შემოქმედებით პროექტებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტაციით (მაქს. 5 ქულა);

7.5 გასაუბრება და მისი კომპონენტებია:

ა) საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (მაქს. 10 ქულა);

ბ) პრეზენტაბელურობა (მაქს. 10 ქულა).

8. თანაბარი მონაცემების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭებათ:

ა) სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მქონე კონკურსანტებს;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკურსანტებს;

გ) კონკურსანტებს, რომლებსაც მანამდე არ უსარგებლიათ ევროკავშირის გაცვლითი პროგრამით.

**მუხლი 6. კონკურსის შედეგები**

1. საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით ორგანიზებულ კონკურსში შერჩეული კანდიდატის/კანდიდატების შესახებ ინფორმაცია (სტუდენტის წარდგინება უცხოეთის შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში) ეგზავნება შესაბამის მიმღებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. ამავდროულად, შერჩევის პროცესის შედეგად მიღებული შედეგები ეგზავნება შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა სტუდენტს ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შედეგები საბოლოო არ არის და მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია უარი თქვას (სრულად ან ნაწილობრივ) წარდგინებაზე.

3. მიმღებ უნივერსიტეტს უფლება აქვს შერჩეულ (ნომინირებულ) სტუდენტს მოსთხოვოს დამატებით შიდა კონკურსში მონაწილეობის მიღება ან სხვა დამატებითი მოთხოვნ(ებ)ის დაკმაყოფილება.

4. სტუდენტს, რომელმაც მოიპოვა სტიპენდია გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიზნით, უფლება ენიჭება უარი თქვას ამ პროგრამაში მონაწილეობაზე, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი ელექტრონული წერილის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

## მუხლი 7. კონკურსის შედეგების გასაჩივრების პროცედურა

1. კონკურსანტს უფლება აქვს, გაასაჩივროს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში.

2. საჩივრის განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით, იქმნება სააპელაციო კომისია.

3. სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები.

4. განხილვას ექვემდებარება წერილობითი სახით შემოტანილი სააპელაციო განაცხადი.

5. სააპელაციო კომისია განიხილავს შემოსულ საჩივარს 1 სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით და ფორმდება სააპელაციო კომისიის ოქმით.

6. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ეგზავნება აპელანტს რეგისტრაციისას მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.